№ 0617-67338

D 07.09.2017

მოქ. გიორგი ზარნაძეს
მის: თამარაშვილის ქ. №21
(მობ. 591-11-16-16)

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება (,,კომპანიაში“ დარეგისტრირებული №IN17-65267; დათარიღებული 29.08.17წ.), კოსმონავტების სანაპირო №45ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.13.05.004.056 გამავალი კომუნიკაციების ადგილმდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემო აღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.13.05.004.056 გაედინება ,,კომპანიის“ ბალანსზე რიცხული D=1250 მმ-იანი თვითდენითი წყალარინების კოლექტორი.

გასათვალისწინებელია, რომ წყალარინების ქსელებთან მიმართებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად წყალარინების ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: სადაწნეო წყალარინების შემთხვევაში არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალარინების კოლექტორის კედლებიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) ,,კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ამასთანავე, ,,კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე ან მიმდებარედ შესაძლებელია გადიოდეს, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ირაკლი ბაბუხადია
კომერციული დირექტორი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
GEORGIAN WATER AND POWER LTD

0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33
ტელ / Tel: +995 (32) 293 11 11; ფაქსი / Fax: +995 (32) 298 26 07

№33, 1st Lane, M. Kostava str. 0179, Tbilisi, Georgia
ელ-ფოსტა / E-mail: info@gwp.ge / www.gwp.ge